



კავკასიის უნივერსიტეტისა ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა

კავკასიის უნივერსიტეტი და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი 2014 წლიდან თანამშრომლობენ და აქტიურად ახორციელებენ გაცვლით პროგრამებს. ასევე, 2021 წელს უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა აკადემიური თანამშრომლობის ხელშეკრულება. კავკასიის უნივერსიტეტისა ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს ერთობლივ საბაკალავრო პროგრამას მასპინძლობის მენეჯმენტში.

კომპიუტერული მეცნიერების ერთობლივი პროგრამა

კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი მიიღებს 2 უნივერსიტეტის დიპლომს.

პროგრამა სტუდენტს ანიჭებს კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის კომპიუტერულ მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მეცნიერების ბაკალავრის ხარისხს.

3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს პირველი 2 წლის განმავლობაში საქართველოში სწავლას, ქართველი და უცხოელი პროფესორების მიერ, ხოლო ბოლო, მე-3 წელს, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში.

პროგრამის მიმოხილვა:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

• კავკასიის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში

• ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი

კრედიტების რაოდენობა: 200 ECTS კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი

პროგრამის წლიური საფასური: 21500₾

პროგრამის წლიური საფასური არარეზიდენტებისთვის: $10 000

პროგრაგის კოდი აბიტურიენტების ცნობარში: 1220117

*ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პროგრამაზე ვრცელდება სახელმწიფო გრანტი - 100%, 70%, 50%

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა:

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა დაარსდა 2008 წელს. მისი მიზანია დარგის უახლესი მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებით, სტუდიებითა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო სივრცეებით.

ამ ყველაფრის მისაღწევად სკოლა ქმნის კომფორტულ სასწავლო გარემოს, ნერგავს დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სასწავლო მეთოდოლოგიებს, ავითარებს დარგის შესაბამის პროგრამებს, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა 2021 წლიდან თანამშრომლობს ევროპის მასშტაბური კიბერუსაფრთხოების ღონისძიების “DedCamp”- ორგანიზატორ BIT SENTINEL-თან რის საფუძველზეც კავკასიის უნივერსიტეტსა და მის პარტნიორ სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციას მიენიჭა უფლებამოსილება, კავკასიის რეგიონში ჩაატარონ საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების ღონისძიებები-ჰაკათონები.

ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი:

აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ნიუ-ჯერსის წამყვანი უდიდესი სასწავლებელია. დღეისთვის ის აერთიანებს 100-ზე მეტ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას, რომელიც მულტიდისციპლინურ, კულტურათაშორის და ეთიკური ცოდნის გაცემას უზრუნველყოფს.
სასწავლო დაწესებულება მოიცავს მსხვილ, მრავალკამპუსიან ინსტიტუტს.

ფერლი დიკინსონის უნოვერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგები და აკრედიტაცია:

- ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტი ნიუ ჯერსიში
- აკრედიტებული ABET-ის კომპიუტერული აკრედიტაციის კომისიის (CAC) მიერ
- აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს კიბერუსაფრთხოების ცენტრი
- აკრედიტებულია შეერთებული შტატების კოლეჯებისა და საშუალო სკოლების ასოციაციის უმაღლესი განათლების კომისიის მიერ
- 12000 ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტი

ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი

კავკასიის უნივერსიტეტის
და ფერლი დიკინსონის
უნივერსიტეტის

კომპიუტერული მეცნიერების 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

1220117

- **კომპიუტერული მეცნიერების პირველი ერთობლივი 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა**
- **ორი უნივერსიტეტის დიპლომი**
- **სწავლა საზღვარგარეთ**
- **ქართველი და უცხოელი პროფესორები**
- **საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლება**

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნათია სულაბერიძე
საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების
ადმინისტრაციული დირექტორი

+(995 32) 237 77 77 (430)
+995 599 574 128
@ nsulaberidze@cu.edu.ge

შოთა ნიჟარაძე
დეკანი

+(995 32) 237 77 77 (340)
+995 595 444 744
@ shnizharadze@cu.edu.ge

კავკასიის უნივერსიტეტი CAUCASUS UNIVERSITY

FAIRLEIGH DICKINSON UNIVERSITY